საქართველოს მთავრობის

დადგენილება №3

2024 წლის 12 იანვარი

ქ. თბილისი

„პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 24/05/2018, 010320000.10.003.020557) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის“:

1. მე-5 მუხლის მე-4 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი:

„ე) ელექტრონული სასწავლო პლატფორმის გამოყენებით სწავლება, რაც გულისხმობს სასწავლო კურსის გავლას დამოუკიდებლად, ამისათვის სპეციალურად შექმნილი პლატფორმის გამოყენებით.“.

2. მე-6 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 და 2^2 პუნქტები:

„2^1. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირის გარდა, ამავე მუხლის 3^1 პუნქტით განსაზღვრულ პროფესიული განვითარების პროგრამას გადის მოქმედი მოხელე, რომლის ფუნქცია-მოვალეობები დაკავშირებულია ამ მუხლის 3^1 პუნქტით განსაზღვრულ ერთ-ერთ მიმართულებასთან/მიმართულებებთან. პროგრამის გავლა შესაძლებელია მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ან „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მეთოდებით/ფორმით. პროგრამის გავლის ვალდებულება არ ვრცელდება იმ მოხელეზე, რომელსაც გავლილი აქვს მოცემული პროგრამა.

2^2. ამ მუხლის 3^2 პუნქტით განსაზღვრულ პროფესიული განვითარების პროგრამას გადის ამავე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირი. პროგრამის გავლა შესაძლებელია მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ან „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მეთოდებით/ფორმით.“;

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. IV და III რანგის მოხელის პროფესიული განვითარების აკრედიტებული საბაზისო პროგრამა არის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი“, ხოლო II და I რანგის მოხელის პროფესიული განვითარების აკრედიტებული საბაზისო სასწავლო პროგრამა – „მოხელის მენეჯერული უნარები.“;

გ) მე-3 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 და 3^2 პუნქტები:

„3^1. მოხელის პროფესიული განვითარების თემატური არააკრედიტებული საბაზისო პროგრამა არის მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო სასწავლო პროგრამა შემდეგი მიმართულებით:

ა) საჯარო პოლიტიკის ანალიზი, დაგეგმვა, მონიტორინგი და შეფასება;

ბ) სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლი;

გ) ადამიანური რესურსების მართვა;

დ) სახელმწიფო შესყიდვები;

ე) ლიდერობა;

ვ) რეგულირების ზეგავლენის შეფასება.

3^2. მოხელის პროფესიული განვითარების არააკრედიტებული საბაზისო პროგრამა არის მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო სასწავლო პროგრამა შემდეგი მიმართულებით:

ა) კიბერჰიგიენა;

ბ) პერსონალურ მონაცემთა დაცვა;

გ) გენდერული მეინსტრიმინგი;

დ) კეთილსინდისიერება;

ე) საქართველოს დასავლური ინტეგრაცია;

ვ) მოხელის უფლებები.";

დ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამა, გარდა ამ მუხლის 3^1 და 3^2 პუნქტებით განსაზღვრული პროფესიული განვითარების პროგრამისა, უნდა აკმაყოფილებდეს ამ წესის დანართით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.".

3. მე-7 მუხლს პირველი პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. ამ წესის მე-6 მუხლის 3^1 და 3^2 პუნქტებით გათვალისწინებული მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამა არ ექვემდებარება ამავე წესით განსაზღვრულ ხარისხის კონტროლს.".

მუხლი 2

1. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით განსაზღვრული მე-6 მუხლის 3^1 პუნქტით გათვალისწინებული „ბ" – „ვ" ქვეპუნქტებითა და 3^2 პუნქტით განსაზღვრული საბაზისო პროგრამების გავლის ვალდებულება მოხელეს წარმოეშობა 2025 წლის 1 იანვრიდან 1 წლის ვადაში.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**